

ქალაქ ქუთაისში, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის
N60 ბინაზე, მოქალაქე მურთაზი ზივზივადისათვის საკუთრების უფლების
მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა გრიგოლ აბაშიძის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N60 ბინაში, მცხოვრები მოქალაქე მურთაზი ზივზივადის წარმომადგენლის თეიმურაზ ჩიტაიშვილის განცხადება /2012 წლის 13.12 №10432/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლი N60 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მურთაზი ზივზივადის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N60 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მურთაზი ზივზივადეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, გრიგოლ აბაშიძის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N60 ბინაზე /საერთო ფართობი 59,97 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,74 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,23 კვ.მ/ მოქალაქე მურთაზი ზივზივადის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე